

# ჯანდაცვის ახად მინისტრად ზურაბ აბარაშვიდი დანიშნეს



ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრმა, ეკატერინე ტიკარაძემ თანამშრომლებს ახალი ხედმძვანედი – ზურაბ აბარაშვიდი წარუდგინა. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის

იყო.

*„მინდა, მოგილოცოთ ახალი თანამდებობა. წინ ძალიან საინტერესო გამოწვევები გეღი. სამომავლო საქმიანობაში წარმატებებს გისურვებთ. სამინისტროში ძალიან დიდ გამოცდილებას მიიღებთ, რომელიც შემდგომ საქმიანობაშიც გამოგადგებათ. დარწმუნებული ვარ, ყველა სირთულესა და მნიშვნელოვან გამოწვევას თავს წარმატებით გაართმევთ“, – განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ.*

მოადგიდეებმა, სსიპ-ებისა და დეპარტამენტის ხედმძვანედებმა ზურაბ აბარაშვიდს საკუთარი მიმართულებებით განხორციელებული პროექტები და სამომავლო გეგმები გააცნეს.

*„ჩემთვის დიდი პატივია ამ უდიდესი პასუხისმგებლობით სავსე სამინისტროს გუნდში ჩართვა. დარწმუნებული ვარ, თქვენი მხარდაჭერით, კონსტრუქციული თანამშრომლობითა და მეგობრობით ძალიან კარგ შედეგებს მივაღწევთ. მე ბუნებით მაქსიმალისტ ვარ და საქმისადმი ასეთივე დამოკიდებულებას მოვითხოვ სხვისგანაც. დიდი იმედი მაქვს, რომ ვითანამშრომლებთ და კონკრეტული შედეგები გვექნება“, – განაცხადა ახლად დანიშნულმა მინისტრმა, ზურაბ აბარაშვიდმა.*

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის თანამდებობაზე ზურაბ აზარაშვიდი პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვიდმა მთავრობის დღევანდელი სხდომის დაწყების წინ გამართულ ბრიფინგზე წარადგინა.